


საიდ. N 76653/03

IR 1113770

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N124-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „კარფურ“ (CARREFOUR) N124-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 18 მაისის N1750/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის  (საიდ. N76653/03, IR 1113770) დაცვის მინიჭება, საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :


სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 18 მაისის N1750/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომპანიის „კარფურ“ „CARREFOUR“ სასაქონლო ნიშანი „LES COSMÉTIQUES DESIGN PARIS“ (საიდ. N76653/03), არ ექვემდებარება რეგისტრაციას შემდეგი გარემოებების გამო:


განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. სასაქონლო ნიშანი წარმოდგენილია თეთრი ასოებით შავ მართკუთხა ფონზე. სასაქონლო ნიშნის მარცხენა ნაწილში ვერტიკალურად განლაგებულია ექვსი შვეული ხაზი. არსებული ელემენტები სასაქონლო ნიშანს ვერ სძენენ საკმარის განმასხვავებლობას. შესაბამისად, სასაქონლო ნიშანს არ აქვს განმასხვავებლობა. ამასთან, სიტყვიერ ნაწილი „LES COSMÉTIQUES DESIGN PARIS“ აღწერილობითი და არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ, ვინაიდან სიტყვების კომბინაცია ფრანგულიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც, „კოსმეტიკური საშუალებები პარიზის დიზაინით“. წარმოდგენილი სიტყვების კომბინაციიდან არც ერთი სიტყვა არ არის დაცვისუნარიანი განცხადებული საქონლისათვის, რადგან აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, მიუთითებს საქონლის სახეობაზე, კერძოდ კოსმეტიკურ საშუალებებზე. სასაქონლო ნიშანი ასევე, არაგანმასხვავებელუნარიანია კოსმეტიკური საშუალებებისთვის რადგან, მთლიანობაში შედგება არადაცვისუნარიანი ელემენტებისგან. აღნიშნულის გამო, საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს



(საიდ. N76653/03, IR 1113770) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალისათვის.


აპელანტი კომპანია „კარფურ“ (CARREFOUR) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N76653/03, IR 1113770) განმასხვავებელუნარიანია და არ შედგება მხოლოდ საქონლის სახეობისაგან.

აპელანტის მტკიცებით, სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N76653/03, IR 1113770) ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „კოსმეტიკური საშუალებები დიზაინი პარიზი“. ამასთან, სასაქონლო ნიშანი შეიცავს გამოსახულებას, რომელიც წარმოდგენილია შავი სწორკუთხედით და სხვადასხვა სისქის შავი ვერტიკალური ხაზებით, რაც კიდევ უფრო ზრდის სასაქონლო ნიშნის ორიგინალურობასა და განმასხვავებელუნარიანობას.


აპელანტი მიუთითებს საქპატენტის პრაქტიკაზე და განმარტავს, რომ საქპატენტში კომპანიის „ტერეოს ფრანს“ (TERESO FRANCE) სახელზე მე-5 კლასის საქონლისათვის - „შაქარი (სამედიცინო მიზნებისათვის)“ და 30-ე კლასის საქონლისათვის - „შაქარი“, დაცულია საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „ALVEO-SUCRE“, რომელშიც სიტყვა - „SUCRE“ ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „შაქარი“.

აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მრავალფეროვანია და გარდა კოსმეტიკური საშუალებებისა, მოიცავს სხვა სახის საქონელს, რომელიც არ მიეკუთვნება უშუალოდ კოსმეტიკურ საშუალებებს. კერძოდ, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებები, პარფიუმერია, თმის ლოსიონები, კბილის პასტები და სხვა.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 18 მაისის N1750/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის  (საიდ. N76653/03, IR 1113770) დაცვის მინიჭებას, საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №124-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც არაგანმასხვავებელუნარიანია შესაბამისი საქონლის მიმართ“. ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი  (საიდ. N76653/03, IR 1113770) მე-3 კლასის განცხადებული საქონლის მიმართ წარმოადგენს არაგანმასხვავებელუნარიან და აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, ვინაიდან განცხადებულ ნიშანში სიტყვიერი აღნიშვნა „LES COSMÉTIQUES“ ფრანგული ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „კოსმეტიკა“, ხოლო „DESIGN PARIS“, ინგლისურიდან ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „დიზაინი პარიზი“.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი, მიუთითებს საქონლის სახეობაზე, მათი გეოგრაფიული წარმოშობის ადგილზე, რის გამოც ნიშანი არაგანმასხვავებელუნარიანი და აღწერილობითია მე-3 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ. ამასთან, სასაქონლო ნიშნის გამოსახულება ვერ სძენს ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას შესაბამისი საქონლისათვის, ვინაიდან შედგება მარტივი გეომეტრიული ფიგურისაგან და ნიშანში დომინანტ ელემენტს წარმოადგენს ნიშნის სიტყვიერი ნაწილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის  (საიდ. N76653/03, IR1113770) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „კარფურ“ (CARREFOUR) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №124-03/15) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების

ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 18 მაისის N1750/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე